სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2016 წლის სექტემბერი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა**	3
ნაწილი 4	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	4
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	14
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	15
ნაწილი 5	დაზარალებული პირები	17
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით	17
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	19
ნაწილი 6	არასრულწლოვნები	27
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	27
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	28
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	30
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	31
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები	31
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა**	34
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	38
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	38
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები	37
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	38
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	38
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა	39
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	42
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	44
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	44
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	49
თავი IV.	**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა**	52

ნაწილი 11	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	57
11.3	საპატიმრო ადგილების ლიმიტები	58
11.4	მსჯავრდებულები დანშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	59
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით	61
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	62
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა	65
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა	66
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება	67
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა	67
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება	71
11.12	დისციპლინური სახდელები	73
11.13	წახალისების ფორმები	74
11.14	პაემნის ღონისძიებები	76
11.15	წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	77
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები	79
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	80
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	81
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები	81
11.20	ავადობა პენიტენციურ სისტემაში	84
11.21	გარდაცვალება	91
ნაწილი 12	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო	91
12.1	პირობით მსჯავრდებულები	91
12.2	პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	93
12.3	არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	94
12.4	უცხოელი პირობით მსჯავრდებულები	96
12.5	პირობით მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	97
12.6	პირობით მსჯავრდებულთა მატება	98
12.7	დასრულებული საქმეები	100
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლეობის მოხსნა	103
12.9	პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება	104
12.10	პირობით მსჯავრდებულთა ამნისტია	104
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე	105
12.12	პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია	106
12.13	პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება	108
12.14	თავისუფლების შეზღუდვა	109

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2016 წლის სექტემბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 1210 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილ იქნა 231 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 19,1%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის სექტემბრის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>



<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>



<u>ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ განსაცდელში მიტოვების დანაშაულზე (სსკ-ის 128-ე მუხლი).

<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)

<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულებზე ფულად-საკრედიტო სისტემაში (2016 წლის სექტემბერი)

<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულებზე საფინანსო საქმიანობის სფეროში (2016 წლის სექტემბერი)

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი დაფიქსირდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის დანაშაულზე (სსკ-ის 254-ე მუხლი).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>



<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>



<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>



<u>ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა (სსკ მუხლები 322¹-322²):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 322¹ მუხლი).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342¹):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)

<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 5 პირის მიმართ დანაშაულის შეუტყობინებლობის დანაშაულზე (სსკ-ის 376-ე მუხლით).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2016 წლის სექტემბერი)



დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ დეზერტირობის დანაშაულზე (სსკ-ის 389-ე მუხლი).

4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2016 წლის სექტემბრის თვეში დევნა შეწყდა 38 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):



დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია დასავლეთის რეგიონში (34,2%).

4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის სექტემბრის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის დანაშაულზე (სსკ-ის 109-ე მუხლი).

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):



<u>**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):**</u>



<u>**ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):**</u>

დევნა შეწყვეტილ იქნა 1 პირის მიმართ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე (სსკ-ის 260-ე მუხლი).

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 276-ე მუხლი).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმის დანაშაულზე (სსკ-ის 353[1] მუხლი).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):</u>

დევნა შეწყვეტილ იქნა 1 პირის მიმართ სსკ-ის 378[2] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორსა და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა, ტარება, ამ საგნით სარგებლობა).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები

5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2016 წლის სექტემბერში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1 020. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):

დაზარალებული პირები ასაკობრივ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობაში)



დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):

დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში
(2016 წლის სექტემბერი)



2016 წლის სექტემბრის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის სექტემბერში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):</u>

დაზარალებულ იქნა 1 პირი სსკ-ის 175-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დაზარალებული პირები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2016 წლის სექტემბერი)



<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>



<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის შედეგად დაზარალდა 11 პირი (სსკ-ის 284-ე მუხლი).

<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>

<u>ტერორიზმი (სსკ მუხლები 323-331[1]):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 331-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>

დაზარალებული პირები მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>

დაზარალებული პირები სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):



ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2016 წლის სექტემბერში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 23 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 3 პირმა (13%) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჭრილში (% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში და 56,5%-ს შეადგენს.

6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის სექტემბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 არასრულწლოვნის მიმართ მკვლელობის მცდელობის დანაშაულზე.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 7 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 142[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (რასობრივი დისკრიმინაცია).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 7 პირის მიმართ ხულიგნობის დანაშაულზე (სსკ-ის 239-ე მუხლი).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვანი პირის მიმართ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე (სსკ-ის 260-ე მუხლი).

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2016 წლის სექტემბრის თვეში დევნა შეწყდა 11 არასრულწლოვნის მიმართ (ცხრილი 3, ცხრილი 4):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჭრილში (% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის სექტემბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია:

<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე (სსკ-ის 117-ე მუხლი).

<u>**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):**</u>

დევნა შეწყდა 8 არასრულწლოვანი პირის მიმართ ქურდობის დანაშაულზე (სსკ-ის 177-ე მუხლი).

<u>**დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):**</u>

დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვანი პირის მიმართ სსკ-ის 353[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა).

<u>**დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):**</u>

დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 378[2] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორსა და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა, ტარება, ამ საგნით სარგებლობა).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები

2016 წლის სექტემბრის თვეში სულ დაზარალდა 65 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი მკვლელობის მცდელობის დანაშაულის ჩადენის შედეგად (სსკ-ის 19-108-ე მუხლი).

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის სექტემბერი)



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 238-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვა).

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალებულ იქნა 26 არასრულწლოვანი პირი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულის ჩადენის შედეგად (სსკ-ის 276-ე მუხლი).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2016 წლის სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1215 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 29,0%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 69,3%-ს, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ხვედრითი წილი - 1,6%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 627 შუამდგომლობა, ანუ 51,6%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 59,4%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 48,0%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 364 შუამდგომლობა, ანუ 30,0%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 224 შუამდგომლობას, ანუ 18,4%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2016 წლის სექტემბერში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 25,2% (209), გირაოზე - 62,4% (518), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 11,2% (93).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2016 წლის სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 830 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 209, ანუ 25,2%, ხოლო არასაპატიმრო - 621, ანუ 74,8%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 83,4%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2016 წლის სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1217 საქმე 1326 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1189 საქმე, ანუ 97,7%, შეწყდა 9 საქმე (0,7%), დაუბრუნდა პროკურატურას 19 საქმე, ანუ 1,6% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2016 წლის სექტემბერში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 798 საქმე (სულ განხილული საქმეების 67,1%) 878 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 67,9%), არსებითი განხილვით დამთავრდა 391 საქმე (შესაბამისად 32,9%) 416 პირის მიმართ (32,1%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით

განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2016 წლის სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 391 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 374 საქმეზე,

გამამართლებელი განაჩენი - 13 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 4 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2016 წლის სექტემბერში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 400 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 4,0%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 0,9%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 2,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2016 წლის სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 452 სისხლის სამართლის საქმე 480 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 798 საქმეზე 878 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 43,9% (იხ. დანართი ცხრილი №13).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2016 წლის სექტემბერში სულ მსჯავრდებული 1258 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 246 პირს, ანუ 19,6%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 583 პირს, ანუ 46,3%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 299 პირს, ანუ 23,8%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 127 პირის, ანუ 10,1%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2016 წლის სექტემბერში სულ მსჯავრდებული 1258 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 95,7%-ს, ხოლო ქალი 4,3%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,9%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 0,8%-ს; ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 4,5%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 24,2%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 2,9% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 7 პირი, რაც შეადგენს 0,6%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 218 პირი, ანუ 17,3%,

- 25-29 წლის ასაკის - 235 პირი, ანუ 18,7%,

- 30-49 წლის ასაკის - 648 პირი, ანუ 51,5%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 150 პირი, ანუ 11,9%.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 50 პირი, ანუ 4,0%, საშუალო განათლების მქონეა 1037 პირი, ანუ 82,4%, უმაღლესი განათლების მქონეა 168 პირი, ანუ 13,4%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1258 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1122, ანუ 89,2%

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 59, ანუ 4,7%

- სხვა მომუშავეა 34, ანუ 2,7%

- კერძო მეწარმეა 7, ანუ 0,6%

- მოსწავლე ან სტუდენტია 3 ანუ 0,2%

- საჯარო მოსამსახურეა 13, ანუ 1,0% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 12,5%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2016 წლის სექტემბერში მსჯავრდებული იყო 7 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 0,6%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 7, ანუ 100,0%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 6 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 85,7% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2016 წლის სექტემბერში სულ მსჯავრდებული 7 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 14,3%, პირობითი მსჯავრი შეეფარდა 5 პირს, ანუ 71,4%-ს, შინაპატიმრობა ერთ პირს, ანუ 14,3%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 7 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 6 პირს, ანუ 85,7%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ერთ პირს, ანუ 16,7%-ს;

- ყაჩაღობისათვის მსჯავრი დაედო ერთ პირს, ანუ 14,3%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 3 არასრულწლოვანი, ანუ 42,9%;

- სამეგრელოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 3 არასრულწლოვანი, ანუ 42,9%;

- აჭარის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 1 არასრულწლოვანი, ანუ 14,3% (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2016 წლის სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1189 საქმე 1294 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1258 (17 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, 19 პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 1288 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1383 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2016 წლის სექტემბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 6,3%-ს, მძიმე დანაშაული - 24,4%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 69,3%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 1383 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 7,0%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 26,2%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 66,8%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 70,1%-ს, პირობითი მსჯავრის - 29,9%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 40,1%-ს, პირობითი მსჯავრის - 51,7%-ს, ჯარიმის - 6,4%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 1,1%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 10,6%-ს, პირობითი მსჯავრის - 40,9%-ს, ჯარიმის - 33,3%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 15,2%-ს

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



2016 წლის სექტემბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 214 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 16,6%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 228 სასჯელი, ანუ 16,5%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 26,3%-ს, პირობითი მსჯავრის 23,2%-ს, ჯარიმის - 35,1%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 15,4%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



სექტემბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,2%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 1,2%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 22,6% (291), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 31,2% (402), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 19,5% (251), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 4,8 (62), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 3,2% (41) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)



2016 წლის სექტემბერში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1383 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 22,5%-ს (311);

- პირობითი მსჯავრი 43,0%-ს (594);

- ჯარიმა 23,9%-ს (331);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 10,4%-ს (144).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2016 წლის სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 479, ანუ 34,6% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 162, ანუ 11,7%, აჭარის სასამართლოებზე -169, ანუ 12,2%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 151, ანუ 10,9%, კახეთის სასამართლოებზე - 108, ანუ 7,8%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 111, ანუ 8,0% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21)

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: აჭარაზე - 20,1%, თბილისზე - 27,3%, სამეგრელოზე - 20,7%, გურიაზე - 18,8%, ქვემო ქართლზე - 30,5%, შიდა ქართლზე - 15,2% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: რაჭაზე - 50,0%, მცხეთაზე - 50,0%, ქვემო ქართლზე - 39,1%, შიდა ქართლზე - 49,4%, სამეგრელოზე - 49,5%, კახეთზე - 40,7%, სამცხე-ჯავახეთზე - 34,2%, თბილისზე - 46,8% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: აჭარა- 41,4%, იმერეთი - 28,4%, იმერეთი -28,4%, სამცხე-ჯავახეთი - 44,7%, მცხეთა-მთიანეთი - 44,2%, თბილისი - 20,0% და სხვა.

თავი IV. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

პენიტენციური დეპარტამენტი

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 9 486 პირი. მათგან, 9 222 კაცი და 264 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან პენიტენციური დეპარტამენტის მიმდინარე წლის სექტემბრის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (9 486) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 720 400) 0.25% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 222) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 779 500) 0.52%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (264) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 940 900) 0.01%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2016 წლის სექტემბრის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 200). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 25-45 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.



ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2016 წლის სექტემბრის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 9 486 ბრალდებული და მსჯავრდებული. მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):







ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

2016 წლის სექტემბრის თვეში, 9 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 107 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 11.7%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):

ბრალდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2016 წლის სექტემბრის თვეში №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

2016 წლის სექტემბრის თვეში, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 8 379 მსჯავრდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 88.3%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):

მსჯავრდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი მსჯავრდებული 2016 წლის სექტემბრის თვეში №17 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2016 წლის სექტემბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (22) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.2%-ს უტოლდება. არასრულწლოვანთა შორის 4 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.4%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 18.2%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



არასრულწლოვანთა შორის 18 მსჯავრდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.2%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 81.8%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პენიტენციურ დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):



11.3 საპატიმრო ადგილების ლიმიტები

